



საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები - შორეული აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი, დასავლეთი (აშშ და ევროპა)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები. პროგრამამ უნდა მისცეს ფართო და საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური ურთიერთობების, დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ, რომლებსაც სრულყოფილად ეცოდინებათ ახლო და შორეული აღმოსავლეთის ენები, ევროპულ ენები (ინგლისურის დამატებით), ისტორიას, კულტურას და რელიგია. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს გლობალური პრობლემების და მსოფლიო კულტურების, ასევე მსოფლიო ისტორიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური კვალის შესწავლას.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა სამი კონცენტრაციის ფარგლებში ამზადებს სტუდენტებს: შორეული აღმოსავლეთის, ახლო აღმოსავლეთის და დასავლეთის (აშშ და ევროპა) კონცენტრაცია, რომელთა შორის არჩევანს სტუდენტი პირველივე კურსიდან აკეთებს.

შესაძლო დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში:

- საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, უშიშროება;
- საერთაშორისო, არასამთავრობო და ბიზნესორგანიზაციები

- კონსულტანტობა და ანალიტიკოსობა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში
- საგანმანათლებლო სფერო
- და სხვა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები (კომპეტენციები)

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
- საჯარო გამოსვლები;
- კრიტიკული აზროვნება;
- ანალიტიკური უნარები;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- უცხო ენებზე კომუნიკაციები;
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეფასებისა და პატივისცემის უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები

- ეცოდინებათ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლები;
- ეცოდინებათ პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორია;
- ეცოდინებათ, როგორ მუშაობენ საერთაშორისო ინსტიტუტები (ორგანიზაციები), მათ შორის ურთიერთობების ფორმები, პროცესები, ახლო და შორეული აღმოსავლეთის რეგიონის და ევროპის ქვეყნების, აშშ-ის ფასეულობები და მსოფლმხედველობა;
- ექნებათ წარმოდგენა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის დინამიკაზე, სტრუქტურულ თავისებურებებსა და თავისებებზე;
- გაერკვევიან ჰუმანიტარულ პრობლემებში, რომელიც მსოფლიო საზოგადოებაში არსებობს;
- დაუფლებიან ახლო და შორეული აღმოსავლეთის, დასავლეთის (აშშ და ევროპა) ქვეყნების ენებს, ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, რელიგიას;
- ეცოდინებათ დიპლომატიის ხელოვნება, ტერორიზმის კონცეფციები, თავისებურებები და პრინციპები, უსაფრთხოების საფუძვლები, ომების ისტორია, ძველი თუ თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების გზები და საშუალებები.
- ექნებათ უნარი დამოუკიდებლად შექმნან გაეროს რეზოლუციების პროექტები;
- შეძლებენ დიპლომატიურ მიმოწერას, მოლაპარაკებების წარმოებას.
- შეძლებენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზს;
- მათ ექნებათ უნარი ღრმად ჩაწვდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, განასხვავონ აღმოსავლურ და დასავლურ ორგანიზაციებსა თუ ქვეყნებში რა ფაქტორები ახდენს გავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ეცოდინებათ ძირითადი პრინციპები, რომელიც მუშაობს გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში;
- ექნებათ პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკის (მათ შორის დიპლომატიური ეთიკის) გაცნობიერება, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპების ცოდნა.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის გაწერილი და განსავითარებელი კომპეტენციები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიაღწიონ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების იმ დონეს, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს შეესაბამება.

ცოდნა და გაცნობიერება

- ეცოდინებათ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლები;
- ეცოდინებათ პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორია;
- ეცოდინებათ როგორ მუშაობენ საერთაშორისო ინსტიტუტები (ორგანიზაციები), მათ შორის ურთიერთობების ფორმები, პროცესები, აღმოსავლური და დასავლური ქვეყნების ფასეულობები და მსოფლმხედველობა, ევროპული ცივილიზაციის როლი და გავლენა ევროპულ სტრუქტურებში;
- ექნებათ წარმოდგენა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის დინამიკაზე, სტრუქტურულ თავისებურებებსა და თავისებებზე;
- გაერკვევიან ჰუმანიტარულ პრობლემებში, რომელიც მსოფლიო საზოგადოებაში არსებობს;
- დაუფლებიან დასავლური სამყაროს (ევროპა, ამერიკა), ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ენებს, ისტორიას, კულტურას, პოლიტიკას, ეკონომიკას, ლიტერატურას, რელიგიას;
- ეცოდინებათ დიპლომატიის ხელოვნება, ტერორიზმის კონცეფციები, თავისებურებები და პრინციპები, უსაფრთხოების საფუძვლები, ომების ისტორია, ძველი თუ თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების გზები და საშუალებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეძლებენ დიპლომატიურ მიმოწერას, მოლაპარაკებების წარმოებას;
- მათ ექნებათ უნარი ღრმად ჩაწვდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, განასხვავონ აღმოსავლურ და დასავლურ ორგანიზაციებსა თუ ქვეყნებში რა ფაქტორები ახდენს გავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ეცოდინებათ ძირითადი პრინციპები, რომელიც მუშაობს გადაწყვეტილებების მიღებაზე, როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში;
- ექნებათ უნარი დამოუკიდებლად შექმნან გაეროს რეოზულუციების პროექტები;

დასკვნის უნარი

- ექნებათ კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარები, ექნებათ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და დასკვნების გამოტანის უნარი, შეძლებენ

სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, განზოგადებას, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე, საჯარო გამოსვლას. მოლაპარაკებებში მონაწილეობის ტენკიკები. კურსდამთავრებული ასევე შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიულად და შემოქმედებითად გამოყენებას.

სწავლის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას და შეძლებს დაადგინოს, დაგეგმოს და განახორციელოს შემდგომი სწავლის საჭიროებები და მეთოდები.

ღირებულებები

- კურსდამთავრებულს ექნება განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეწვასების, დაფასებისა და პატივისცემის უნარი; გააცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობას და ეთიკის ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსებში. ზოგადად მეთოდები მდგომარეობს შემდეგში:

1. კლასიკური ლექცია/სემინარული ტიპის სწავლება;
2. პრაქტიკული მეცადინეობები;
3. დისკუსია/შეჯიბრების ტიპის მეცადინეობა;
4. დებატები;
5. პრაქტიკული სიტუაციების, ე.წ ქეისების ინტენსიური გამოყენება და აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში;
6. როლური თამაშები, სიმულაციები, მაგალითად გაეროს, არაბული ლიგის, ევროკავშირის სხდომების სიმულაცია;
7. პროექტები და პრეზენტაციები;
8. ექსტრაკურსულარული ლექციები, სემინარები, კულტურული საღამოები, კონფერენციები.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

სასწავლო გეგმა და სემესტრული გეგმა პროგრამაში მოცემულია დანართის სახით, ხოლო კომპონენტების აღწერა - თანდართულ სილაბუსებში.

ადამიანური და მატერიალური რესურსი

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხილეთ დანართი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.